



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/23

ქ. თბილისი

19 აპრილი 2022

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და ფაკულტეტის სწავლული მდივნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/51 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და საბჭოს მდივანს აღნიშნული საქმიანობა ჩეთვალოს აკადემიური დატვირთვის კომპონენტად სასწავლო წლის განმავლობაში, შესაბამისად, 120, 60 და 100 საათის ოდენობით;
2. ფაკულტეტზე, რომელზეც ხორციელდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია შემოღებული იქნეს ფაკულტეტის სწავლული მდივნის თანამდებობა, რომელიც შეიძლება შეთავსებით დაიკავოს სათანადო გამოცდილების მქონე პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა;
3. ფაკულტეტის სწავლულ მდივანს აღნიშნული საქმიანობა ჩეთვალოს აკადემიური დატვირთვის კომპონენტად სასწავლო წლის განმავლობაში 80 საათის ოდენობით;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოვიძე